



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

----- ნოე ქაშიბაძე
16 თებერვალი 2016 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N 7/36

2015 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 1 იანვარი

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	7
ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები.....	10

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა (სას) ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს (სამინისტრო) ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - ბალანსის დანართი ფორმა №2, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-2, წმინდა ღირებულების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №3, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4, ფულადი გრანტების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4-1, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5-1, ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე - ბალანსის დანართი ფორმა №6.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც

მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი წარმომადგენლობის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს არასწორად და უზუსტოდ აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N2, ფორმა N3 და ფორმა N5, კერძოდ:

არაფინანსური აქტივები

ბალანსის დანართი ფორმების ანალიზით და სამინისტროდან მიღებული დადასტურებული ინფორმაციით დადგინდა, რომ სას-ის 2015 წლის 09 თებერვლის N2/129 ფინანსური აუდიტის დამტკიცებულ ანგარიშში და სამინისტროსთვის გაგზავნილ სარეკომენდაციო წერილში ასახული ხარვეზი, რომლის გამოსწორების შესახებ სამინისტრომ 2015 წლის 05 მარტის 01-171/5 წერილით აცნობა სას-ს, აუდიტის პერიოდში გამოსწორებული არ ყოფილა. კერძოდ, ქ. თბილისში დ. უზნაძის ქუჩა N 68-ში მდებარე, სამინისტროს სარგებლობაში არსებული შენობის სარემონტო სამუშაოებისთვის 2014 წელს გაწეული ხარჯები - 15,832.96 ლარის ოდენობით, არასწორად იყო განხორციელებული წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული „არაფინანსური აქტივები“-ს მუხლიდან და არამართებულად იყო მიკუთვნებული (აღრიცხული) სამინისტროს ბალანსის მუხლში - „შენობები და ნაგებობები“, ვინაიდან მოცემული სამუშაოები განეკუთვნებოდა მიმდინარე შეკეთების ხარჯებს და უნდა აღრიცხულიყო, როგორც „საქონელი და მომსახურება“, კერძოდ „ოფისის ხარჯების“ კლასიფიკატორში. შესაბამისად აღნიშნული ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო 2015 წელს, ისე როგორც 2014 წლის ბოლოს შენობა-ნაგებობების საბალანსო მუხლი, ზედმეტად იყო გაზრდილი 15,832.96 ლარით;¹

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები, 24-ე მუხლის მე-15 პუნქტი და მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-17, მე-18 და მე-20 პუნქტები და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 25.08.2010 წლის N672 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია (ოფისის ხარჯები (223) და ძირითადი აქტივები (311)).

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

2015 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგების (ბალანსი) დანართი ფორმების შესწავლით დადგინდა, რომ ბალანსის დანართ ფორმა N2-ში ძირითადი კაპიტალის მოხმარება ნაჩვენებია 19,811.00 ლარის ოდენობით, ხოლო დანართ ფორმა N3-ში წარმოდგენილია 23,507.00 ლარის ოდენობით (არამატერიალური აქტივების ცვეთა - 2,416.00 ლარი და სხვა აქტივების ცვეთა - 21,091.00 ლარი), ასევე ბალანსის დანართ ფორმა N5-ში ძირითადი კაპიტალის გასვლა ძირითადი კაპიტალის მოხმარებით ნაჩვენებია 23,507.00 ლარის ოდენობით. აუდიტის ობიექტიდან მიღებული ინფორმაციით ბალანსის დანართ ფორმა N2-ში ნაჩვენები იყო ძირითადი კაპიტალის მოხმარება არამატერიალური აქტივების ცვეთის თანხების გამოკლებით;²

აფხაზეთის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს (სამმართველო) უფროსის 2015 წლის 29 აპრილის N01/28 ბრძანების და 2015 წლის 30 აპრილის მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე სამინისტროს უვადო სარგებლობის უფლებით გადაეცა სათათბირო მაგიდა ნარჩენი ღირებულებით 320.00 ლარი. ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით ბალანსის დანართ ფორმა N3 -ში კრედიტის მხარეს მიღებული მაგიდა ასახული იყო პირვანდელი ღირებულებით 1,600.00 ლარი, ხოლო დებეტის მხარეს ნაჩვენები იყო 1,280.00 ლარი სამმართველოში ექსპლუატაციის პერიოდში დაგროვილი ცვეთის თანხა;³

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს მიერ ბალანსის დანართ ფორმა N3-ში და N5-ში უზუსტოდ იყო წარმოდგენილი ინფორმაციები ძირითადი კაპიტალის მოხმარების (ცვეთის) შესახებ.⁴

ფასეულობები

სამინისტრომ 2015 წლის 31 დეკემბერის N 732 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ქ. თბილისის მერიას უსასყიდლოდ გადასცა ბალანსზე რიცხული 54,800.00 ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები (ჭიული შარტავას დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სკულპტურული მემორიალი - „ერთიანი საქართველო“ - 49,999.00 ლარი და „აფხაზეთის ქვა“ - 4,800.00 ლარი). გადაცემის მომენტში ფასეულობა სკულპტურული მემორიალი - „ერთიანი საქართველო“ მისი შინაარსის გათვალისწინებით (წარმოდგენდა დაგროვების საშუალებას და უმთავრესად არ გამოიყენებოდა წარმოების ან მოხმარების მიზნით) ნაცვლად იმისა, რომ აღრიცხულიყო კლასიფიკატორის კოდზე - 313

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მუხლი 24-ის 22 და 23 პუნქტები;

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მუხლი 24-ის პუნქტი 21;

⁴ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 29-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები;

„ფასეულობები“, აღრიცხული იქნა კლასიფიკატორის კოდზე - 3112220 „სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“. შესაბამისად ამ აქტივის გასვლა დანართი ფორმა N 5-ში შეცდომითაა ნაჩვენები სხვა ძირითადი აქტივების მუხლიდან პირვანდელი ღირებულებით - 49 999 ლარი.⁵

სამგზავრო ბილეთები

პირველადი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში „ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ“ სამინისტროს მიერ 2015 წელს თბილისი-ტალინი-თბილისის მიმართულებით შეძენილი იქნა თვითმფრინავის 30 სამგზავრო ბილეთი საერთო თანხით 21,030.00 ლარი. ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით ზემოაღნიშნული ბილეთები გათვალისწინებული იყო 2015 წლის პერიოდისთვის, თუმცა გამგზავრება გადაიდო და მათი მოქმედების ვადა გასცდა 2015 წლის პერიოდს. აღნიშნულმა ოპერაციამ ბუღალტრულად ასახვა ჰპოვა ბუღალტრულ ანგარიშზე 1625 „ფულადი დოკუმენტები“ და ბალანსის ფორმა N1-ში და ბალანსის დანართი №5-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ ბილეთების ღირებულება აისახა, როგორც სხვა მატერიალური მარაგი - „ფულადი დოკუმენტები“. მიუხედავად აღნიშნულისა, ბილეთების შესყიდვა (საკასო ხარჯი) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით განხორციელდა 2.8.2.1.18 კოდით „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი“. რაც სულ სხვა სახის ხარჯს წარმოადგენს და შინაარსობრივად საერთოდ არ ითვალისწინებს „არაფინანსური აქტივის“ კერძოდ „სხვა მატერიალური მარაგის“ - „ფულადი დოკუმენტის“ საკასო ხარჯების ასახვას.⁶

არაფინანსური აქტივების ზედმეტობა

სამინისტროში საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ძირითადი საშუალებების, მცირეფასიანი და სწრაფცვლადი საგნების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, 43 ერთეული არაფინანსური აქტივის ზედმეტობა.⁷ აღნიშნული აქტივების ღირებულება უცნობი იყო, ვინაიდან არ არსებობდა შესყიდვის რაიმე დოკუმენტი და დადგენილი წესით არც სამინისტროს მიერ მომხდარა მათი შეფასება. აღსანიშნავია, რომ ზედმეტობაში კვლავ დაფიქსირდა და ბალანსზე არ აღრიცხულა წინა წლის აუდიტით გამოვლენილი 19 ერთეული არაფინანსური აქტივის ზედმეტობა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აქტივები აუდიტის პერიოდში იმყოფებოდა სამინისტროს ექსპლუატაციაში

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ N672 ბრძანების მე-5 თავის კლასიფიკატორის კოდი 313 „ფასეულობები“;

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ N672 ბრძანების მე-4 თავის კლასიფიკატორის კოდი 2.8.2.1.18;

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ წესის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი;

ისინი ბალანსში თანხობრივად არ აღრიცხულა და საინვენტარო აღწერაში შეტანილ იქნა (აისახა ზედმეტობად) ღირებულების გარეშე. გარდა აღნიშნულისა დადგინდა, რომ 23 ერთეულ არაფინანსურ აქტივს ჰქონდა იდენტური საინვენტარო ნომერი, ხოლო 85 ერთეულზე საინვენტარო ნომერი საერთოდ არ ფიქსირდებოდა.⁸

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2015 წლის სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება, გარდა წინა პარაგრაფში აღნიშნული საკითხებისა, მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრისათვის.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

პირობითი მოსაზრების საფუძვლების პარაგრაფში წარმოდგენილი გარემოებების გარდა, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

არაფინანსური აქტივები

აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 10.01.2012 წლის N1/02 ბრძანების საფუძველზე სამინისტროსათვის სარგებლობის უფლებით გადმოცემულ შენობა-ნაგებობის (ქ. თბილისი, უზნაძის N68-ში საერთო ფართი 1933 მ²) მეორე და მეხუთე სართულზე, ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე, კვლავ განთავსებულია და ფუნქციონირებს სამინისტროსთან ერთად სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი რიგი საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ) და სხვა სუბიექტები⁹. აღნიშნული ხარვეზი დაფიქსირდა სას-ის 2015 წლის 09 თებერვლის N2/129 ფინანსური აუდიტის დამტკიცებულ ანგარიშში და სამინისტროსთვის გაგზავნილ სარეკომენდაციო წერილში.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

მინისტრის ბრძანებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე 2015 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 27 მომუშავე და მათზე ანაზღაურებულია სულ 122,219.35 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად;¹⁰ ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ 11 პირი აყვანილია მთელი წლის

⁸ „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁹ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტი და 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

¹⁰ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-8 მუხლი; 23-მე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტი.

პერიოდში (7 თვით და მეტი ხნით) მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მათზე თვეში ანაზღაურებულია 590 ლარი, სულ 73,984.45 ლარი.

სარემონტო სამუშაოები

სამინისტროს მიერ ჩატარებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული „შ.პ.ს სამშენებლო-საინჟინრო კომპანია ჯეონერჯი“ (შემდეგში - მიმწოდებელი კომპანია ჯეონერჯი) N253 12.08.2015 ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდა სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობის (მდებარე ქ. თბილისი, უზნაძის ქ. N68-ში) მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს. კომპანია ჯეონერჯიმ სარემონტო სამუშაოები დაასრულა 2015 წლის 10 დეკემბერს. კომპანია ჯეონერჯისთან გაფორმებული N253 ხელშეკრულების 6.4 პუნქტი ითვალისწინებდა სამუშაოს საბოლოო მიღება - ჩაბარების განხორციელებას მიმწოდებლის კომპანია ჯეონერჯის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, რომელიც მას ამავე ხელშეკრულების 9.4.3 პუნქტის შესაბამისად უნდა წარმოედგინა სარემონტო სამუშაოების დასრულებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. მიუხედავად აღნიშნულისა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება აუდიტის ჩატარების პერიოდში არ შესრულებულა და ექსპერტის დასკვნა წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, ვინაიდან აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო გაცნობოდა ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით ექსპერტიზის დასკვნას, აუდიტის ჯგუფს მიმდინარე აუდიტის ფარგლებში არ მიეცა შესაძლებლობა მოეპოვებინა სათანადო რწმუნება ჩატარებული სარემონტო სამუშაოების მოცულობების რეალობისა და გაწეული ხარჯების (საჯარო ფინანსების ჯეროვნად მართვის) შესახებ.

სახელმწიფო შესყიდვები

სამინისტროსა და კომპანია ჯეონერჯის შორის 2015 წლის 12 აგვისტოს დადებული N253 ხელშეკრულების მიხედვით სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობის (მდებარე ქ. თბილისი, უზნაძის ქ. N68-ში) მიმდინარე სარემონტო სამუშაოების მიწოდების ვადა განსაზღვრული იყო შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 75 კალენდარული დღით ანუ 2015 წლის 26 ოქტომბრისათვის. კომპანია ჯეონერჯიმ 2015 წლის 20 ოქტომბრის წერილით სარემონტო სამუშაოების მოცულობების გაზრდის გამო მიმართა სამინისტროს და სთხოვა ვადის გადაწევა, რასთან დაკავშირებითაც სამუშაოების ჩაბარების ბოლო ვადის - 26 ოქტომბრის ამოწურვიდან მხოლოდ მე-3 დღეს 2015 წლის 29 ოქტომბერს გაფორმდა შეთანხმება და სამუშაოების მიწოდების ვადა გაიზარდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 111 კალენდარულ დღემდე, ანუ 2015 წლის პირველ დეკემბრამდე. ანალოგიური ფაქტი დაფიქსირდა 2015 წლის 4 დეკემბერს, როდესაც სამუშაოების ჩაბარების ბოლო ვადის - 1 დეკემბრის ამოწურვიდან მხოლოდ მე-3 დღეს გაფორმდა შეთანხმება და სამუშაოს მიწოდების ვადა გაიზარდა 121 დღემდე.¹¹

2015 წელს დადებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებიდან, ხელშეკრულების დადებისას 29 შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული ის, რომ ხელშეკრულების

¹¹ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს და შპს სამშენებლო-საინჟინრო კომპანია ჯეონერჯის შორის 2015 წლის 12 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N253 ხელშეკრულების მუხლი 5-ის 5.1 პუნქტი და მუხლი 9-ს, 9.3 პუნქტის 9.4.2. ქვეპუნქტი; 29.10.2015 და 04.12.2015 წლის შეთანხმებები მე 5 მუხლის 5.1 ქვეპუნქტში ცვლილებების შეტანის განხორციელების შესახებ.

მოქმედების ვადა სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების ან/და სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას¹².

შიდა აუდიტის გეგმის შესრულება


სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურის 2015 წლის სამოქმედო გეგმის და ჩატარებული აუდიტების ანგარიშების შესწავლით დადგინდა, რომ გეგმით გათვალისწინებული 10 აუდიტიდან ჩატარდა მხოლოდ 8.¹³ ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის 2015 წლის 14 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათით გაირკვა, რომ სსიპ „აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის“ აუდიტი არ ჩატარებულა, ვინაიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ უკვე იყო ჩატარებული აღნიშნული ორგანიზაციის ფინანსური აუდიტი, რის გამოც სამსახურის მიერ აღნიშნული ორგანიზაცია შეფასდა რისკის დაბალი დონით, ხოლო სსიპ „აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრში“ აუდიტი ვერ განხორციელდა, ვინაიდან ცენტრმა შეიცვალა განთავსების ადგილი რაც დაემთხვა აუდიტის ჩატარების დაგეგმილ ვადებს, შესაბამისად სამსახურმა არ ჩათვალა მიზანშეწონილად დაგეგმილი აუდიტის ჩატარება.

წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა და გაცემული რეკომენდაციების შესრულება

წინა აუდიტით, კერძოდ სას-ის 2015 წლის 09 თებერვლის N2/129 ფინანსური აუდიტის დამტკიცებულ ანგარიშში ასახული ხარვეზები, კერძოდ სამინისტროს შენობის სარემონტო ხარჯების 15,832.96 ლარის არასწორად აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხი და სახელმწიფო ქონების უკანონოდ გამოყენების ფაქტი, კვლავ დაფიქსირდა მიმდინარე აუდიტის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ წინა აუდიტით გამოვლენილ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით სამინისტროსათვის გაგზავნილი სარეკომენდაციო წერილით სას-მა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები, სამინისტრომ მაინც ვერ უზრუნველყო ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრა.


აუდიტის ჯგუფი:

უფროსი აუდიტორი




ბონდო გასვიანი

აუდიტორი



ავთანდილ კაპანაძე

აუდიტორ-ასისტენტი



მიხეილ გოდოლაძე

16 თებერვალი 2015 წელი

¹² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-19 მუხლის მე-14 პუნქტი.

¹³ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N 418/მ „შიდა აუდიტის სამსახურის 2015-2017 წლების სტრატეგიული და 2015 წლის სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-2 პუნქტი;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა N1

ორგანიზაციის

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და
კულტურის სამინისტრო

ჩაბარების ვადა

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური
ზომის ერთეული ლარი

2016 წლის 01 იანვრის მდგომარეობით

კო დი	აქტივები	ანგა რიში სN	ნაშთი წლის დასაწყისის თვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
10	ნაღდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
20	ნაღდი ფული საღაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
30	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
40	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
50	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
60	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
70	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
80	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
90	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		
290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	11041	11041
310	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
320	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
330	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
350	გრძელვადიანი სესხები	1510		
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		

380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული მარაგები	1610		
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620		21030
410	შენობა-ნაგებობები	2110	264562	264685
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	102728	41812
430	სხვა ძირითადი აქტივები	2130	16829	14413
440	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140		0
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		0
460	ფასეულობები	2300	18748	13949
470	არაწარმოებული აქტივები	2400		
	ბალანსი		413262	366284

კო დი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგა რიში N		
1	2	3		
I. ვალდებულებები				
480	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
490	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		
500	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
510	ვალდებულებები ბარტერით	3230		
520	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
530	გადასახდელი დღგ	3242		
540	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
550	სხვა გადასახდელები	3244		
560	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
570	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
580	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
590	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
600	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
620	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
630	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
640	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
650	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
660	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
670	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260	646	646
680	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
690	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
700	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
720	მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
730	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		
II. კაპიტალი				
750	წმინდა ღირებულება	5100	413262	366284
760	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
770	გაუნაწილებელი მოგება	5220		
780	დაუფარავი ზარალი*	5230		

	ბალანსი		413262	366284
III. საცნობარო მუხლები				
790	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	1		
800	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	2	5000	1800
810	გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	3		
820	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	4	2853	2143
830	პირობითი მოთხოვნები	5		
840	პირობითი ვალდებულებები	6		
850	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	7		
860	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	8	112487	116618
870	ვადაგადაცილებული დავალიანებები	9		
880	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	70987	99439
890	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11		

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება

კოდი

პერიოდულობა: წლიური,
კვარტალური

2016 წლის

01

იანვრისათვის

ზომის ერთეული: ლარი

სტრიქონის კოდი 1	ხარჯების ჩამონათვალი 2	კოდი 3	ბიუჯეტი დამტკიცებუ ლი წლიური გეგმით 4	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულ ი გეგმით 5	ვალდებულებ ა 6	მოთხოვნ ა 7	გადახდა(საკას ო ხარჯი) 8	ფაქტობრივ ი ხარჯი 9	გადახდა ფაქტობრი ვ ხარჯსა და გადახდას შორის(9- 8) 10
10	1. ხარჯები	2	1156235	1497351	1459355	1459355	1459355	1513019	53664
20	1.1 შრომის ანაზღაურება	21	569530	588902	583776	583776	583776	583776	
30	1.1.1 ხელფასები	211	569530	588902	583776	583776	583776	583776	
40	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	569530	588902	583776	583776	583776	583776	
50	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	525720	524627	524626	524626	524626	524626	
60	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							
70	1.1.1.1.3 პრემია	21113	43810	62275	57150	57150	57150	57150	
80	1.1.1.1.4 დანამატი	21114		2000	2000	2000	2000	2000	
90	1.1.1.1.5 ჰონორარი	21115							
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212							

130	1.1.2.1 ფაქტობრივად განხორციელებული სოციალური შენატანები	2121							
140	1.1.2.2. პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები	2122							
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22	245845	456328	425434	425434	425434	425517	83
160	1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	80100	122249	122219	122219	122219	122219	
170	1.2.2 მივლინებები	222	8000	11684	11291	11291	11291	11291	
180	1.2.3 ოფისის ხარჯები	223	72095	248564	219865	219865	219865	219948	83
190	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	2500	986	885	885	885	885	
200	1.2.5 კვების ხარჯები	225							
210	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	226							
220	1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227							
230	1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	30000	22394	21091	21091	21091	21091	
240	1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	229							
250	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	53150	50451	50083	50083	50083	50083	
260	1.3 მირითადი კაპიტალის მოხმარება	23						19811	19811
270	1.4 პროცენტი	24							
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241							

290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411							
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412							
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413							
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414							
330	1.4.2 საშინაო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242							
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე	243							
350	1.5 სუბსიდიები	25	30000	30					
360	1.6 გრანტები	26		108000	108000	108000	108000	162800	54800
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261							
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262							
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621							
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263		108000	108000	108000	108000	162800	54800
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631		108000	108000	108000	108000	108000	0
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632						54800	54800
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	125100	127958	127957	127957	127957	127957	0
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271							
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							
490	1.7.1.2 სასაქონლო ფორმით	2712							

500	1.7.2 სოციალური დახმარება	272	125100	125040	125040	125040	125040	125040	
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721	125100	125040	125040	125040	125040	125040	
520	1.7.2.2 სასაქონლო ფორმით	2722							
530	1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273	0	2918	2917	2917	2917	2917	
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731	0	2918	2917	2917	2917	2917	
550	1.7.3.2 სასაქონლო ფორმით	2732							
560	1.8 სხვა ხარჯები	28	185760	216133	214188	214188	214188	193158	-21030
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281							
620	1.8.2 სხვა და სხვა ხარჯები	282	185760	216133	214188	214188	214188	193158	-21030
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821	185760	216133	214188	214188	214188	193158	-21030
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822							
მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ									
მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ თ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა		ბიუჯეტით			ბიუჯეტგარეშე				
		გეგმით	ფაქტობრივად*		გეგმით	ფაქტობრივად*			
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა		49	49						
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა		17	17						

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება

კოდი

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური --- 2016 წლის წლიური

ზომის ერთეული: ლარი

სტრიქონის კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
10	1. არაფინანსური აქტივები	31	3700	9459	9458	9458	9458
20	1.1 ძირითადი აქტივები	311	3700	9459	9458	9458	9458
30	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	0	2950	2950	2950	2950
40	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
50	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112	0	2950	2950	2950	2950
60	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები	31113					
70	1.1.1.4 ქუჩები	31114					
80	1.1.1.5 გზები	31115					
90	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118					
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119					

130	1.1.1.10 მილსადენები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111					
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	1700	6509	6508	6508	6508
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121					
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	1700	6509	6508	6508	6508
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113	2000				
190	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132	2000				
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321					
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322	2000				
230	1.2 მატერიალური მარაგები	312					
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
260	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221					
270	1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	31222					
280	1.2.2.3 მზა პროდუქცია	31223					
290	1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	31224					
300	1.3 ფასეულობები	313					
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314					
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 წიაღისეული	3142					
340	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143					
350	1.4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	31431					
360	1.4.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები	31432					
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება

კოდი

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2016 წლის წლიური

ზომის ერთეული:
ლარი

სტრიქონის კოდი	არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
10	1. ფინანსური აქტივების ზრდა	32					
20	1.1 საშინაო	321					
30	1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3212					
40	1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3213					
50	1.1.3 სესხები	3214					
60	1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3215					
70	1.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3216					
80	1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3217					
90	1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3218					
100	1.2 საგარეო	322					

110	1.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3222					
120	1.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3223					
130	1.2.3 სესხები	3224					
140	1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3225					
150	1.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3226					
160	1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3227					
170	1.2.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3228					
180	1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	323					
190	2. ვალდებულებების კლება	33	0	412	412	412	412
200	2.1 საშინაო	331	0	412	412	412	412
210	2.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3312					
220	2.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3313					
230	2.1.3 სესხები	3314					
240	2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3315					
250	2.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3316					
260	2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3317					
270	2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3318	0	412	412	412	412
280	2.2 საგარეო	332					
290	2.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3322					
300	2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3323					
310	2.2.3 სესხები	3324					
320	2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3325					
330	2.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3326					
340	2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3327					
350	2.2.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3328					

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აფხაზეთის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო
დაწესებულება ადმინისტრაციულ-სამეურნეო-სამმართველო

კოდი -----

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2016 წლის 1 იანვრისათვის

ზომის ერთეული: ლარი

ანგარიშის №	დებიტი	თანხა	ანგარიშის №	კრედიტი	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	413,262.00
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	583,776	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	1,361,224.00
7200	საქონელი და მომსახურება	425,017	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23,507	6000	შემოსავლები	134,752
7310	მ.შ. ფიზიკური ცვეთა	21,091	6300	მ.შ. გრანტები	134,752
7400	პროცენტი				
7500	სუბსიდიები				
7600	გრანტები	189,128			
7700	სოციალური უზრუნველყოფა	127,957			
7800	სხვა ხარჯები	193,158			
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები		8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *				
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *				
	სადებიტო ბრუნვა	1,542,543		საკრედიტო ბრუნვა	1,495,976
	სულ ჯამი:**	1,542,543		სულ ჯამი:***	1,909,238
	ნაშთი პერიოდის ბოლოს			ნაშთი პერიოდის ბოლოს	366,695.00

ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება

პერიოდულობა: კვარტალური, წლიური 2016 წელი - წლიური

ზომის ერთეული: ლარი

სტრიქონის კოდი	დასახელება	გეგმით	საკასო	ფაქტიური
1	2	3	4	5
10	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისისთვის			
20	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალის ნაშთი წლის დასაწყისისთვის			
30	შემოსულობები			
40	საოპერაციო შემოსავლები			
50	საანგარიშო პერიოდის შემოსავლები კლასიფიკაციის მიხედვით			
60	გადასახადები			
70	გრანტები			
80	სხვა შემოსავლები			
90	ა) შემოსავლები საკუთრებიდან			
100	ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია			
110	გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები			
120	დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა			
130	ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები			
140	შემოსულობები			
150	არაფინანსური აქტივების კლება			
160	ფინანსური აქტივების კლება			
170	ვალდებულებების ზრდა			
180	სულ საოპერაციო შემოსავლები და შემოსულობები			
190	გადასახდელები			
200	საოპერაციო ხარჯები			

210	1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	კოდი			
220	1.1. შრომის ანაზღაურება	21			
230	1.2 საქონელი და მომსახურება	22			
240	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23			
250	1.4 პროცენტი	24			
260	1.5 სუბსიდიები	25			
270	1.6 გრანტები	26			
280	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27			
290	1.8 სხვა ხარჯები	28			
300	გადასახდელები				
310	2. არაფინანსური აქტივების ზრდა	31			
320	2.1 ძირითადი აქტივები	311			
330	2.2 მატერიალური მარაგები	312			
340	2.3 ფასეულობები	313			
350	2.4 არაწარმოებული აქტივები	314			
360	3. ფინანსური აქტივების ზრდა	32			
370	3.1 საშინაო	321			
380	3.2 საგარეო	322			
390	4. ვალდებულებების კლება	33			
400	4.1 საშინაო	331			
410	4.2 საგარეო	332			
420	სულ საოპერაციო ხარჯები და გადასახდელები	332			
430	არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები				
440	არასაოპერაციო შემოსავლები				
450	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი				
460	არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება				
470	ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება				
480	ვალდებულებების გადაცემა				

490	არასაოპერაციო ხარჯები			
500	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი			
510	არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა			
520	ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა			
530	ვალდებულებების მიღება			
540	მოგების გადასახადი			
550	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს			

ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ

ორგანიზაციის
დასახელება

კოდი

პერიოდულობა: კვარტალური,
წლიური 2016 წლის

წლიური

ზომის ერთეული: ლარი

		უცხოურ ვალუტაში	ეროვნულ ვალუტაში	სულ თანხა ლარებში		
				გეგმური	საკასო	ფაქტიური
1	გრანტის მთლიანი მოცულობა					
2	მ.შ მიღებული თანხა					
3	მ.შ სულ დამტკიცებული მოცულობა					
4	მ.შ უკანასკნელი ჩარიცხვა					
	1	ნაშთი პერიოდის დასაწყისში				
	2	მიმდინარე წლის მოცულობა				
	3	სულ (1+2)				
	4	ხარჯები				
	5	შრომის ანაზღაურება				
	6	საქონელი და მომსახურება				
	7	პროცენტი				
	8	სუბსიდიები				
	9	გრანტები				
	10	სოციალური უზრუნველყოფა				
	11	სხვა ხარჯები				
	12	არაფინანსური აქტივების ზრდა				
	13	ფინანსური აქტივების ზრდა				
	14	ვალდებულებების კლება				
	15	სულ მიმდინარე წლის დამტკიცებული მოცულობა				
	16	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები გრანტის თანხით				

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აფხაზეთის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველო

ზომის ერთეული:
ლარი

პერიოდულობა: 2016 წლის - წლიური

			მიღება										
	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის გადახდებით	ბარტერით	არასაოპერაციო შემოსავლებით	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით	კაპიტალის შექმნა	დანაკლისის აღდგენით	*სხვა მიღებები
010	1. მატერიალური მარაგები			42,216									
020	1.1. სტრატეგიული მარაგები												
030	1.2. სხვა მატერიალური მარაგები			42,216									
040	1.2.1. ნედლეული და მასალები												
050	1.2.2 დაუმთავრებელი წარმოება												
060	1.2.3 მზა პროდუქცია												
070	1.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი												
080	1.2.5 ფულადი დოკუმენტები			21,630									
090	1.2.6 სათადარიგო ნაწილები			3,824									
100	1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები			16,762									

110	2. ძირითადი აქტივები	384,199		9,458		26,669					
120	2.1 შენობა-ნაგებობები	264,562		2950							
130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები										
140	2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	264,562		2950							
150	2.1.3 საგზაო მაგისტრალები										
160	2.1.4 ქუჩები										
170	2.1.5 გზები										
180	2.1.6 ხიდები										
190	2.1.7 გვირაბები										
200	2.1.8 გაყვანილობის სისტემები										
210	2.1.9 სხვა შენობა-ნაგებობები										
240	2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	102,728		6,508		26,669					
250	2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	25,194									
260	2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	77,534		6,508		26,669					
270	2.3 სხვა ძირითადი აქტივები	16,829									
280	2.3.1 კულტივირებული აქტივები										
290	2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	16,829									
300	2.3.3 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი										
310	3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები			29,839		83					
320	4. ფასეულობები	18,748									
330	4.1. ძვირფასი ქვები და ლითონები										

340	4.2. ხელოვნების ნიმუშები	9,200										
350	4.3. სხვა ფასეულობები	9,548										
360	5. არაწარმოებული აქტივები											
370	5.1 მიწა											
380	5.2 წიაღისეული											
390	5.3 სხვა ბუნებრივი აქტივები											
400	5.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია											
410	5.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები											
420	5.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები											

		გ ა ს ც ლ ა																	
	არაფინანსური აქტივების დასახელება	გაყიდვით	ბარტერით	არასაოპერაციო ხარჯები	აქციებისა და სხვა კაპიტალის სახით	ხელფასები	სასაქონლო ფორმით	სუბსიდიებით	გრანტებით	სოციალური დახმარებებით	დანაკლისით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით	კაპიტალის შიქმნა	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	*სხვა გასვლები	ნაშთი წლის(პერიოდის) ბოლოს
010	1. მატერიალური მარაგები																21,186		21,030
020	1.1. სტრატეგიული მარაგები																21,186		21,030
030	1.2. სხვა მატერიალური მარაგები																		
040	1.2.1. ნედლეული და მასალები																		
050	1.2.2 დაუმთავრებელი წარმოება																		
060	1.2.3 მზა პროდუქცია																		
070	1.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი																		
080	1.2.5 ფულადი დოკუმენტები																600		21,030
090	1.2.6 სათადარიგო ნაწილები																3,824		
100	1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები																16,762		
110	2. ძირითადი აქტივები								75,828							23,507			320,911
120	2.1 შენობა-ნაგებობები															2,827			264,685
130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები																		
140	2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები														2,827				264,685
150	2.1.3 საგზაო მაგისტრალები																		
160	2.1.4 ქუჩები																		
170	2.1.5 გზები																		

180	2.1.6 ხიდები																
190	2.1.7 გვირაბები																
200	2.1.8 გაყვანილობის სისტემები																
210	2.1.9 სხვა შენობა-ნაგებობები																
240	2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი							75,828						18,264			41,812
250	2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები													9,511			15,683
260	2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი							75,828						8,753			26,130
270	2.3 სხვა ძირითადი აქტივები													2416			14,413
280	2.3.1 კულტივირებული აქტივები																
290	2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები													2416			14,413
300	2.3.3 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი																
310	3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები							500							29,421		
320	4. ფასეულობები							4800									13,948
330	4.1. ძვირფასი ქვები და ლითონები																
340	4.2. ხელოვნების ნიმუშები							4800									4,400
350	4.3. სხვა ფასეულობები																9,548
360	5. არაწარმოებული აქტივები																
370	5.1 მიწა																

380	5.2 წიადისეული																
390	5.3 სხვა ბუნებრივი აქტივები																
400	5.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია																
410	5.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები																
420	5.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები																

ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად
ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება

კოდი

.....

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2016 წელის

წლიური

თვის ზომის ერთეული: ლარი

	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	მოგება ფლობიდან კრედიტი (8100)	ზარალი ფლობიდან დებეტი (8100)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა კრედიტი (8200)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება დებეტი (8200)
10	ფინანსური აქტივები				
20	ვალუტა დეპოზიტები				
30	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა				
40	სესხები				
50	აქციები და სხვა კაპიტალი				
60	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები				
70	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები				
80	სხვა დებიტორული დავალიანებები				
90	მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება				
100	ფინანსური ვალდებულებები				
110	ვალუტა და დეპოზიტები				
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა				
130	სესხები				
140	აქციები და სხვა კაპიტალი				
150	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები				
160	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები				
170	სხვა კრედიტორული დავალიანებები				

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ორგანიზაციის
დასახელება

კოდი

პერიოდულობა: 2016 წლის
იანვრისათვის

ზომის ერთეული: ლარი, ცალი

		ანალიზური აღრიცხვის მონაცემები																	
		საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში მიღება		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)							
				შეძენა		სხვა სახით მიღება										ექსპლუა ტაციიდან გასული		სხვა სახით გასული	
		რაოდ ენობა	ღირებ ულება	რაოდ ენობა	ღირებ ულება	რაოდ ენობა	ღირებ ულება	რაოდ ენობა	ღირებ ულება	რაოდ ენობა	ღირებ ულება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკე თება	მ.შ. საწვ ავი	მ.შ. სათა დარ იგო ნაწი ლები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვ ავი	მ.შ. სათდარიგო ნაწილები
	დასახელება																		
1	სატრანსპორტო საშუალება სულ:	3	25,194							9,511		19,534	3,076	12,634	3,824	19,534	3076	12,634	3,824
	მათ შორის																		
1.1	მსუბუქი	2	13,561							7,235		15,948	741	12,634	2,573	15,948	741	12,634	2,573
1.2	ჯიპები და პიკაპები																		
1.3	სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებები	1	11,633							2,276		3,586	2,335		1,251	3,586	2,335		1,251
1.4	სატვირთო																		